წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. შაბათი 9 ივლისი

# სამშობლო №400

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ [illegible] პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 [illegible] სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე [illegible] ბულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გიორგი ზდანოვიჩი** მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კავკასიის ფრონტზე მოკლეს მისი ძვირფასი ძმისწული

კონსტანტინე (კოწია) ვასილის ძე ქორქაშვილი

რომლის სულის მოსახსენებლათაც დანიშნულია პანაშვიდი მთავარ ანგელოზის ეკლესიაზე კვირას დღის თორმეტ საათზე

242 2—1

ელექტრო „**რადიუმ**" თეატრი

ხუთშაბათიდან, 7 ივლისიდან ახალი პროგრამა.

## ბედნიერება საშუნე ღამეში.

ძლიერი დრამა 4 ნაწილად ცნობილ მსახიობთა: ქ-ნ კარალლის დაბ-ნ პოლონსკის მონაწილეობით.

პარიზის მიდამოები,

სანახაობა.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 11 ივლისიდან 1916 წ.

და გავაქროლებ ჩემსა რაშებსა,

ძლიერი დრამა ოთხ ნაწილად ცნობილ რუსულ სიმღერის შინაარსზე, ცნობილ მსახიობთა, ბ-ნ ბაკშეევისა, ქ ნ ორლოვისა და ქ-ნ პანოვის მონაწილეობით

თმა ჭაღარა მოტრფიალე კომედია ფარსი 2 ნაწილად ცნობილ მსახიობის კამალ დე რიზოს მონაწ.

ელექტრო „**ამპირ**" თეატრი

ხუთშაბათიდან, 7 ივლისიდან ახალი პროგრამა.

**გომონის ქრონიკა.**

## გმირი ხმლითა და გმირი სულით.

დრამა 3 ნაწილად ცნობილ მცირე წლოვან მსახიობის ჟანეთ ჟარდეს მონაწილეობით. საფრანგეთის ცნობილ მწერლის ლეონ როპრეს ნაწარმოებით.

**ხუმრობა და სიყვარული**, კომიკური.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 11 ივლისიდან 1916 წ.

დორიან გრეის სურათი

ოსკარ უაილდის ცნობილ რომანის შინაარსით. ძლიერი დრამა 6 ნაწილად საიმპერატორო სცენის მსახიობის ვ. ე. მეიერხოლდის სცენარიით, რეჟისორობით და მონაწილეობით, მის მიერვე დადგმული. მონაწილეობენ: ქ-ნნი იანოვა, ერნიტან, ბელოვა, უვაროვა და ბ-ნნი: ლევიტანი, ვოლკოვი და სხვანი.

**ექიმი** ა. მ. ასათიანი. რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ექიმი** ი. ჩარექოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათ მყოფებს.

მისამართი: ლეგაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

## დოქტორი მედიცინისა

პრივატდოცენტი

ვ. პ. მოსეშვილი

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8საათ.

2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

დ. ლაილაში.

კბილის ექიმი

**ანნა პარმენის ასული ებანოიძე**

25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს.

სახლი ნესტორ კაჭკაჭიშვილისა.

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ცხენების მომკრებ გამგეობას ქუთაისის განყოფილება.**

10 ივლისს 12 საათზე, საარტილერიო ნაწილში საჯარო შევაჭრებით **გაიყიდება ცხრა კვიცი.**

241 2—2

## გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ „**სამშობლოს**" რედაქც.

ბრიუსელის საკომერციო ინსტიტუტის სტუდენტი

## აძლევს გაკვეთილებს

**ფრანგულ ენისას.**

იკითხეთ „სამშობლოს" რედაქციაში.

**ვიყვან მოწაფეებს** ყველა კლასებისათვის მოსამზადებლად და განსაკუთრებით აფიცრების შკოლებისათვის ხელმისაწდომ ფასებში. ნახვა დილის 8—საღამოს 6 ს-მდე. აბორინის ქუჩა, სახლი დიმიდოვის, სტუდენტი

244 ა. ზ. თელაია. თვ.

**ს უ რ ა მ ი.**

გამოცდილი მასწავლებელი

**ამზადებს მოწაფეებს.**

მისამართი: იტრია, სახლი ლურსმანიშვილისა.

245 3—1

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ.)

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 6 ივლისი. დასავლეთსა და აღმოსავლეთ ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

**პარიზი.** 6 ივლისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. მდ. სომმის სამხრეთით ფრანგებმა აწარმოვეს პატარა ბრძოლები, რამაც შეძლება მისცათ დაეპყროთ გერმანელთა სანგრები ესტრეს სამხრეთით. აქ დაატყვევეს 60 კაცი.

ვერდენთან გერმანელები კვლავ უშენენ სარბაზნებს ფრანგთა პირველ და მეორე წყების პოზიციებს. ძლიერი საარტილერიო ბრძოლა მოხდა 304 სიმაღლის და ფლერის მიდამოებში. ქვეითა ჯარის ბრძოლა არ ყოფილა. ეპარჟზე გერმანელებმა ფრანგთა სადარაჯოზე იერიში მიიტანეს, მაგრამ მოგერებულ იქნენ.

მფრინავთა მოქმედება. გან საკუთრებულ ზარბაზნების წყალობით ფრანგებმა ჩამოაგდეს გერმანელთა ჰაეროპლანი, მფრინავი და მზვერავი დაატყვევეს.

**ჰავრი.** 6 ივლისი. ბელგიის ოფიციალური ცნობა. ბეზინგ სტეენსტრატეს მიდამოებში ბელგიელთა არტილერია მედგრად უშენდა გერმანელების პოზიციებს და ანგრევდა მათ.

დიქსმიუდეს ჩრდილოეთით გეტბასის მიმართულებით ბელგიელების მზვერავთა სიტყვით გერმანელთა ნამუშევარი სულ გაოხრებულია.

დასავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 7 ივლისი. 5 ივლისს მტრის 17 საფრენი თავს დაეცა სადგურ ზამირეს (ბარანოვიჩის ჩრდილო აღმოსავლეთს) და 28 ყუმბარა ჩამოაგდეს გოსპიტალსა და ლაზარეთებში. მოკლულია სამი, დაჭრილია ხუთი. საექიმო პერსონალიდან. მხოლოდ ლაზარეთებში მწოლარე ჯარის კაცებიდან 10 მოკლულია, მხოლოდ 23 დაჭრილი.

მდ. სტოხოდზე მტერი წინ წამოწევას სცდილობდა უგლის და ბარანოვიჩის მიდამოებში, მაგრამ ვერა გააწყო-რა. მტრის წინსვლა ზვინიაჩე—ელიზაროვის მიდამოებში (გოროხის სამხრეთ-აღმოსავლეთით). ჩვენ შევაჩერეთ.

მდ. დნესტრი თანდათან უფრო დიდდება და ნაპირებიდან გამოდის. ახლო მახლო მდებარე ადგილები წყლითაა დაფარული. მთის კალთები იმდენად დალბა, რომ ბევრ ალაგას მიუვალი გახდა ზოგ ალაგას ხიდები გადავარჩინეთ.

**პეტროგრადი 6** ივლისი. უმაღლესი ბრძანება. უმართებულეს სენატს. ვსცანით რა საჭიროდ სათადარიგო ჯარის, ზურგის გასამაგრებლად შევსება და სასანიტარო უწყებებში მსახურთა შევსება მენონიტებით, *) ვბრძანებთ გაწვეულ იქნენ მთელს იმპერიაში: 1) მეორე ხარისხის მოლაშქრენი 1901 წლიდან 1916 წლამდე გასაწვევნი; 2) იმავე წლების მეორე ხარისხის მოლაშქრენი მენონიტებისაგან; 3) პირველი ხარისხის მოლაშქრენი 1893 წლიდან 1916 წლამდე გასაწვევნი: 4) პირველი ხარისხის მოლაშქრენი იმავე წლებისა მენონიტებისაგან. აღნიშნულ რიგის მოლაშქრეთა გამოსაცხადებლად დანიშნულია ამა წლის 13 ივლისი.

უმართებულესი სენატი გასცემს შესაფერ ბრძანებას.

ნამდვილზე მის იმპერატორობითი უდიდებულესობის საკუთარის ხელით უწერია:

**ნიკოლოზ.**

მეფის ბანაკი. 4 ივლისი 1916 წ. შეაწოწმა სამხედრო მინისტრმა ინფანტერიის გენერალმა შუვაევმა.

*) მენნონისტები რუსეთში იმ გვარ სექტანტებს ჰქვიათ, რომელთაც სჯული ნებას არ აძლევთ იმსახურონ ჯარის კაცად და ომში მონაწილეობა მიიღონ. რედ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

——

ოხროდის მიდამოებში ალბანელთა ტომები ბულგარეთის ჯარს დასცემიან და, როგორც იტყობინებიან, დაუმარცხებიათ.

——

საბერძნეთში ახლო მომავალში მოსალოდნელია კვლავ გამწვავდეს დამოკიდებულება მოკავშირეთა და საბერძნეთის შორის, ვინაიდგან დემობილიზაცია ჯარისა ძალიან ნელა ხდება. და ეპირში კი ჯერაც არ დაწყებულა.

——

ხმებია, ამ ცოტა ხანში კაიზერ ვილჰელმის თავმჯდომარეობით სხდომა მომხდარა, რომელზედაც გადაუწყვეტიათ ავსტრია-უნგრეთის ჯარის მთავარსარდლის ერცჰერცოგის ფრიდრიხის და გენ. პვლანცერ ბალტინის გადაყენება.

——

14 ივლისს, საფრანგეთის რესპუბლიკათ გამოცხადების დროს მოკავშირეთა ელჩები ათინაში სახალხო დღესასწაულებს მართვენ. მიღებულია ზომები, რათა ხალხმა უწესოება არ მოახდინოს.

——

ბულგარეთის ელჩი რუმინიაში რადევი, ბულგარეთისა და რუმინიის შორის კავშირის შესაკვრელად რუმინიაში პროპაგანდას ეწვია, მაგრამ მას უნდობლად ეპყრობიან.

——

„ბერლინერ ტაგებლატ"-ის ცნობილი მიმომხილველი მორატი ასპარეზზებზე აწ დამყარებულ მდგომარეობის შესახება სწერს: მოქმედება ჯერ არ დამთავრებულა და რაც მოხდება მას საისტორიო, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

——

გერმანიაში მუშების ერთ ნაწილს აზრათა აქვს მოახდინოს საერთო გაფიცვა, რათა მთავრობა აიძულოს ზავის ჩამოსაგდებათ.

——

ბულგარეთიდან გამოქცეულ რუს ტყვეების სიტყვით ბულგარეთში ამ ჟამად შიმშილობაა, თითო ჯარისკაცს დღეში ნახევარ გირვანქა სიმინდს აძლევენ.

——

ამერიკაში ამ მოკლე ხანში მოელიან გერმანიის მეორე სავაჭრო წყალქვეშა ნავს „ბრემენ"-ს.

——

ერთი შვეციელ მუშას გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ უთქვამს. ერთი თვის განმავლობაში გერმანიაში არც ერთხელ რძე არ დამილევიათ, ხორცი სულ ოთხჯერ ვჭამე და კარაქი კი თვალითაც არ დამინახავსო. მისივე სიტყვით ეხლა გერმანიაში პური ძლიერ შემცირებულა.

——

არაბები არამც თუ ოსმალებს აუჯანყდნენ არამედ ინგლისელებსაც მტრულად მოეპყრობიან და ორივენი ერთნაირად სძულებიან. ინგლისელებს არაბეთის ნაპირებისათვის ზარბაზნები დაუშენიათ.

——

აღმოსავლეთ ასპარეზის ერთ ნაწილში რუსებმა აღებულ სანგარში იპოვნეს ტყვიისმფრქვეველი, რომელზედაც ორი ჯარის კაცი იყო მიბმული.

მეორე ალაგას კიდევ ტყვიისმფრქვეველზე აფიცერი იყო მიბმული და, როცა რუსები, შემოერტყენ, თავი მოიკლა.

——

რუმინიის საზღვრებზე ავსტრიელები გამალებით ამაგრებენ. ქ. ტემეშვარი მკვიდრ ციხედ გადაუქცევიათ.

——

რუმინიის ტახტის მემკვიდრეს და რამდენიმე აფიცერს ერთ პოლკის დღესასწაულზე საჯაროდ უქიათ გერმანელები. ეს ამბავი გამოუმჟღავნებია მოკავშირეთა მომხრე გაზეთ „პატრია"-ს. მის რედაქტორს დახვედრია ხუთი აფიცერი და უცემიათ.

——

ავსტრიის იმპერატორი ფრანც-იოსები ავად გამხდარა.

——

„რუს. სლოვო"-ს ცნობით ჩინეთიდან რუსეთში და საფრანგეთში მოდიან სამუშაოდ ნახევარ მილიონამდე კული (შავი მუშა).

——

კოველის მიდამოებიდან გერმანელებს ავსტრიელთა ჯარი მთლათ გაუყვანიათ და მათ მაგივრად გერმანელები გამოუგზავნიათ.

——

კოველთან გერმანელებს 25 ვერსის ბრძოლის პირზე 100 მძიმე და 150 სუბუქი ზარბაზანი დაუდგამდ.

——

ავსტრიელი გერმანელები ჰფვლანცერი და ერცჰერცოგ იოსები სამსახურიდან გადაუყენებიათ.

——

ერთ ინგლისურ გაზეთის სიტყვით ხმები დადის ავსტრიის იმპერატორი ფრანციოსები გარდაიცვალაო.

——

გერმანელ ინჟინრებს ბერლე და კიზელს შემოუღიათ ავტომობილის ახალი შინები, რომელთაც სრულიად არა სჭირდებათ რეზინა სპეციალისტების აზრით ახალი შინა თვისებით სჯობია რეზინის შინებს.

——

ავსტრიის მეფის მემკვიდრის სარაევოში მოკლულ ფრანც ფერდინანდის შვილს დაუარსებია ახალი კავშირი „ღვთისგან ჩქარი ზავის მოსათხოვნათ".

# რუსეთი.

——

ახლო მომავალში სამხედრო ექიმებათ გაიწვევენ იმ მეორე ხარისხის რატნიკ სტუდენტებს, რომელთაც წლეულს უნდა გაათავონ საექიმო ფაკულტეტი.

——

სწავლა განათლების მინისტრს იგნატიევს დაჟინებით მოუთხოვია რუსეთში ათი ახალი უნივერსიტეტის გახსნა.

——

——

შინაგან საქმეთა სამინისტრო ადგენს პროექტს ციმბირის ერობისას.

——

ამერიკაში რუსების პატივმცემელთა

# ომის დღიური.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** სად. ზამირიეში გერმანელთა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს გოსპიტლებსა და ლაზარეთებს; მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი 40 უდრის. მდ. სტოხოდზე გერმანელები წინ წამოსულან, მაგრამ რუსებს დროზედ შეუჩერებიათ. შეუჩერებიათ აგრეთვე გოროროვის აღმოსავლეთით სოფელ ზვინიაჩე-ელიზაროვთან წინ წამოსული გერმანელები. აღმოსავლეთ გალიციაში მდ. დნესტრი ადიდებულა და არე-მარე სულ წაულეკავს.

**კავკასიის ასპარეზი.** მდგომარეობა უცვლელია.

**დასავლეთის ასპარეზი** ბელგიელების არტილერია ენერგიულად მოქმედებს გერმანელთა წინააღმდეგ. მდ. სომმის მიდამოებში ფრანგებმა ესტრეს სამხრეთირ რამდენიმე სანგარი აიღეს და 60 კაცი დაატყვევეს. ვერდენთან გერმანელები მკაცრად უშენენ ფრანგთა პირველი და მეორე ხაზის სიმაგრეებს ფრანგებმა გერმანელთა ჰაეროპლანი ჩამოაგდეს და შიგ მსხდომნი დაატყვევეს.

ჯგუფმა გამოსცა ჟურნალი „რუსეთის მიმოხილვა“, რომლის მიზანია რუსეთ ამერიკის დაახლოვება.

— —

ხარკოვის გუბერნიის მაზრაში 5200 დესეტინა ნათესი სეტყვას წაუხდენია.

— —

რუსეთის ბევრ ალაგას არაყის მაგივრად ოდეკალონს ხმარობენ.

— —

მთავრობის უმაღლეს წრეებში პროექტი შეუმუშავებიათ, დაარსონ სასურსათო საქმეების გამგე კოლექტიური ორგანო. ამის გამო შტიურმერი მთავარსარდლის ბანაკში გამგზავრებულა.

— —

ა. ი. გუჩკოვს განუცხადებია, პოლონელები ჩვენთან ერთად ღვრიან სისხლს. მათ უნდა მიეცეთ ავტონომია ფართე თვითმართველობითაო

— —

## სამხედრო მიმოხილვა.

მოკავშირეთა შეტევა მინელდა, არც ერთ ასპარეზზე აღარა ხდება მოკავშირეთა საერთო შეტევის გაგრძელების მომასწავებელი და, მაშასადამე, თვით შეტევაც დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. მოკავშირეებმა საკმაოდ დაასუსტეს და დააზარალეს მოწინააღმდეგე. მაგრამ თანამედროვე ბრძოლებში დიდად ზარალდება არამც თუ უკან დამხევი მხარე, არამედ წინ წამწევიც, მით უმეტეს დიდია ზარალი მიმხტომ მხარისა თუ უკან დამხევს თავდაცვის ტეხნიკა მდიდარი და განვითარებული აქვს.

ამ ნაირად, გაზაფხულის ბრძოლების შემდეგ შესუსტებული დარჩა ორივე მხარე. არც ისეთ უნუგეშო მდგომარეობაშია გერმანიის ჯარი, როგორც ამას ხალისიანი კორესპონდენტები გვამცნობდენ.

ეს, სხვათა შორის, ცხადია, გუშინდელ შტაბის ფურცლიდან, სადაც მოხსენებულია, რომ რამდენიმე ალაგას რუსებს გერმანელიბის წინსვლა შეუჩერებიათ. მაშასადამე, კიდევ შესწევნიათ შეტევის უნარი გერმანელებს.

შვერელი.

## მილოცვა.

ჩვენი უმდაბლესი სალამი იუბილიარს თეოფილეს.

გულწრფელად გილოცავთ ამ სანეტარო დროს, გისურვებთ, დიდხანს სიცოცხლეს ქართული მწერლობის სასარგებლოდ:

თქვენი უერთგულესი ნაცნობები და პატივის მცემლები ალექსანდრე და ვალერია ბოჭორიშვილები

— —

წვირფასო ძმაო თეოფილე! დიდის სიხარულით ვეგებები შენს დღესასწაულს, რომელიც ღირსეულად დამსახურებულია შენგან და გამოწვეულია შენი სამშობლოსადმი ღრმა და გატაცებული სიყვარულით. სულით და გულით გისურვებ დღეგრძელობას და ნაყოფიერ მოღვაწეობის განგრძობას შენ კარგი მაგალითი მიეცი ჩვენს ახალგაზდა ინტელიგენციას, თუ რა გზით უნდა იაროს მან, უკეთუ გულში ჩვენი სოფლის და ჩვენი ეროვნული საქმის აყვავების სურვილი უღვივს. შენთან ერთად ამ ბედნიერ წამს ვულოცავ აგრეთვე შენს საყვარელ ოჯახს, რომელსაც ამშვენებს ასეთი ღირსეული ქართველი მამა მთავარი.

მარად შენი მოყვარული და პატივისმცემელი გრიგოლ დიასამიძე.

5 ივლისი თბილისი.

# ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

ქ. ქუთაისში 7 მარიამობისთვეს გაიხსნება კურსები სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელთათვის.

✦ დ ზესტაფონში ხვალ გაიმართება თეოფილე ხუსკივაძის იუბილე. დღესასწაული გაიხსნება ცნობილ ლექტორის ალ. გარსევანიშვილის ლექციით.

✦ 1 სექტემბრიდან განზრახულია მთელი რიგი უმაღლეს პირველ დაწყებითი სკოლის დაარსება რისთვისაც დირექციაში ამ ჟამად მუშაობაა საქმეების მოსაგვარებლად.

✦ 28 ივნის სოფელ თეკლაათის მცხოვრებმა დიმიტრი ადამიამ გადაიარა გზაზე, რომელიც ლაუ თულაძის ადგილზე გადადიოდა. უკანასკნელი დახვდა და წინადადება მისცა, ამავე გზით უკან აღარ დაბრუნდე, თორემ მოგკლავო, დიმიტრი ადამია კი იმავე გზით დაბრუნდა უკან და ადამია დაუხვდა გზაზე და თავში ნაჯახი დაკრა.

✦ გუშინწინ ქუთაისის გუბერნატორმა გრ. გაუდოვიჩმა ქუჩებში გამოაკრა შემდეგი შინაარსის განცხადება. ამ უკანასკნელ ხანში მოხდა სხვა და სხვა ქალაქებში მაღაზიებისა და დუქნების აკლდება რომელიც მოახდინა განსაკუთრებით საქონლის მეტად გაძვირებით მოთმინებიდან გამოსულმა ქალებმა. ამგვარი საქციელი მიზანს ვერ მიაღწევს და ამით საქონელი არ გაიაფდება ამ არეულობაში მონაწილეთათვის კი მეტად ცუდათ ბოლოვდება. ამგვარათ, დარწმუნებული ვარ ქუთაისის მცხოვრებთა კეთილ აზროვნებაში. მოვაგონებ მათ, რომ ყოველივე ზომები ჩემგან მიღებულია სიძვირის წინაღმდეგ. ვთხოვ მოქალაქეთ—გვაცნობონ, როგორც მე, ისე ადგილობრივ პოლიციას, საქონლის ჩვენგანვე დაწესებულ ნიხრს ზევით გაყიდვისათვის. ასეთი საჩივრები საჩქაროთ იქნება განხილული, დამნაშავე ადმინის ტრატიული წესით გადასახლებული და მათი სავაჭრო სახლები დახურული სამხედრო მოქმედების გათავებამდის. აგრეთვე მოვალეთ ვრაცხ ჩემ თავს ვაცნობო მოქალაქეთ, რომ, თუ ვინმე გამოჩნდება და ჩემი წინადადების მიუხედავად არეულების მოხდენას გაბედვენ, სასტიკი ზომები იქნება ჩემგან მიღებულ არეულობის ჩასაქრობათ და მეთაურები კი ფრიად სასტიკად დაისჯებიან.

✦ ქუთაისში ცეცხლი გაუჩნდა სხვისი დუქნიდან და დაიწვა ბაგრატა ლომთაძის საწვრიმალო სავაჭრო სახლი.

ქუთაისის გუბერნატორმა გრ. გუდოვიჩმა ნება დართო წ. კ. გ. საზოგადოების ლანჩხუთის განყოფილებას გახსნას სოფელ ებალურში უფასო სახალხო სამკითხველო.

✦ 23 ივნისს 10 საათზე სამუშევრიდან სახლში დაბრუნდა სოფელ ცუცხვათის მცხორები ვ. კუპრაშვილი. ვახშმობის წინ იმავე სოფლის მცხოვრებმა მელიტონ კუპრაშვილმა ესროლა გარედან თოფი და მოკლა. მიზეზათ მკვლელისა და მოკლულის ცოლს შორის რომანიულ ნიადაგზე არსებულ დამოკიდებულებას ასახელებენ.

**შეცდომის გასწორება.**

გუშინწინდელ „ახალ ამბებში“ სამწუხარო შეცდომა მოგვსვლია: დაბეჭდილია „მესხეთის ქუჩაზე მიხეილ გიორგაძემ დანით დასჭრა ალექსანდრე შავგულიძე ჯა შუშობისთვისაო. უნდა იყოს: მიზეზი ჩხუბისა, რომელსაც ა. შაუგულიძის დაჭრა მოჰყვა, არ იციან.

# თბილისის გუბერნატორის განცხადება

1.

უკანასკნელ დროს თბილისელებს აღელვება დაეტყოთ, ეს აღელვება გამოწვეული იყო სიძვირით. პოლიცია ყოველთვის სცდილობდა ვაჭრებზე ძალადობის ხმარების ნება არავისთვის მიეცა და თავის მხრივ ეძებდა გადამალულ საქონელს, აიძულებდა ყველას ნიხრის მიხედვით ვაჭრობასა. მე-10 უბნის ბოქაული პირადად ადევნებდა თვალყურს მატერიების ვაჭრობას, ფასს ადებდა და ანგარიშებს ყურს უგდებდა. ასე იყო 4 ივლისის სალამომდე. ამავე დროს ერთი სათართლე მაღაზია ნახევრად გაძარცვეს. ხალხი ალბად თვითონ მიხვდა, თუ რა სამარცხვინო იყო ესა და დროზე შეჩერდა. ამავე დროს მე მივედი აღნიშნულ ადგილას. აუარებელი რიცხვი ქალებისა შემოეხვია ჩემს ავტომობილს და აღელვებით უჩიოდენ ვაჭრებს, ტყავს გვაძრობენ, არაფერი ნიხრი მათთვის არ არსებობსო ზოგიერთმა ისიც დაუმატეს, გვინდოდა თქვენთან საჩივლელად მოვსულიყავით, მაგრამ თქვენამდის არ მოგვიშვესო და სხვა და სხვ.

ვაცხადებ მთელი თბილისის ყურადსაღებად, რომ ყოველგვარი საადმინისტრაციო და ქალაქის დაწესებულებანი ყოველ ზომას იხმარენ, რომ ყველა საგნების ნიხრი დაწესდეს. თუ ვინმე თავის ნებით ფასს ასწევს, [illegible] იქნება შესაფერისად და კავკასიის საზღვრებიდან გავაძევებთ. მიღებული იქნება ზომები აგრეთვე საქონლის [illegible] წინააღდეგ. ვსთხოვ [illegible] შემთხვევებში დაგვეხმარონ და გვიჩვენონ საქონლის დამმალავები. ყველა ვაჭარს, ვინც თავხედად მოექცევა მყიდველებს, ოქმებს შეუყენებენ. ამას გარდა, შეგიძლიათ ყოველთვის მომმართოთ პირადად, მივიღებ გარდა უქმე დღეებისა და ხუთშაბათისა, დილის 11 საათიდან იქამდე, ვიდრე მთხოვნელთა რიცხვი არ გამოილევა.

მოვუწოდებთ თბილისელებს დამშვიდებისათვის და აღვნიშნავ, რომ ყოველგვარი უწესობის მომხრენი სასტიკად დაისჯებიან.

წარმოიდგინეთ, როგორ უხარიანთ ყოველი არეულობა ჩვენში გერმანელებს: გონს მოდით და მტრებს ნუ ახარებთ.

2.

დღეს უძველესმა თბილისმა წარუხოცელი ჩირქი მოიცხო: მთელი დღის განმავლობაში. ძარცვა გლეჯა-ხდებოდა მთელს ქალაქში. თბილისელთა სასირცხოდ სძარცვავდენ ინტელიგენტებიც კი, და ვინც არ ტაციობდენ, სრულს თანაგრძნობასა და დახმარებას უწევდნენ მძარცველთ. დაფიქრდით, რა სიხარული მიანიჭეთ გერმანელებს: კავკასიის მთავარ ქალაქებში, მეფის ნაცვლის საბრძანებელში თავისუფალი ძარცვა სხვისი ქონებისა; და ეს იმ დროს, როცა ჩვენი ძლევამოსილი ჯარი მთელ ძალღონეს იკრებს შეუპოვარი მტრის დასათრგუნად. მის ნაცვლად, რომ დაეხმაროთ ჯარს, აღმოუჩინოთ მისთვის ესრედ საჭირო ზნეობრივი თანაგრძნობა, თქვენ ეხმარებით მის მტერს. გონს მოდით. ეხლავე შეაჩერეთ გერმანელების სამსახური. დარწმუნებული ვარ ცოტად თუ ბევრად გონიერნი გონს მოვლენ, მოინანიებენ და დამშვიდდებიან. დანარჩენთა ჩასაგონებლად კი ერთი საშუალება ღა დამრჩა: მივმართავ ჯარს.

ვაფრთხილებ ყველას, რომ ყოველგვარი ცდა ქუჩებში უწესოების მოხდენისა იარაღით იქნება შეჩერებული.

გონს მოდით, ვიდრე გვიან არაა.

თბილისის გუბერნატორის მოვალეობის აღმასრულებელი ფლიგელ-ადიუტანტი პოლკოვნიკი მანდრიკა.

5 ივლისი, 1916 წ. ქ. თბილისი. (ს. ფ.).

# ცოტა რამ ჩვენებურ მეურნეობაზე.

კარგა ხანია რაც რუსეთის იმპერიაში ეგრედწოდებული მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო არსებობს. არის კავკასიის სასოფლო სამეურ-

## ნუ თუ?*)

(პასუხად „მოგზაურის“ კორესპონდენციისა).

(იხ. „სამშობლო“ № 399.)

დღევანდელ დღეს ადვილად შესაძლებელია, რომ ერთი უნამუსო კაცი ვინმე იშოვოს ჩვენმა ნამუსიანმა კორესპოდენტმა და ჩემდა გასამტყუვნებლად პირში წამომიყენოს, მაგრამ ტყუილი მოწმე განა ისე ადვილად გაასაღებს თავის ნათქვამს, რომ გზა და კვალი ველარ ვუპოვოთ?

მართალია, ლანძღვა გინებაც ხელშეხება ადამიანის ღირსებისა, რაგრამ მაგრამ არა იმ ზომისა, რომ საქმიანმა პრესამ ამის გამო ბუკი და ნაღარა დაჰკრას. ლანძღვა-გინება უმართებულო საქციელია და მარტო მლანძღველის სიბრიყვეს მოასწავებს, ხოლო სიბრიყვე ავ-ზნეობის ნიშანი კი არ არის, გაუზდელობის, გაუწურთვნილობის საქმეა. იმდენი დღეგრძელობა თქვენა გქონდეთ, რამდენი ქვეყანაზე ბრიყვი და უზრდელი კაცი იყოს და ამასთან ყოვლად კარგი და პატიოსანი.

ალბად ესეც კარგად სცოდნია ჩვენს ბედნიერს ავტორს და, რომ უფრო გაადლიეროს ჩემი დანაშაული, მკითხველს უფრო მეტად აუმღვრიოს ჩემზე გული, გვარწმუნებს, ვითომც გლეხ კაცს ჩემის საქციელის მიზეზით ძნა გაოხრებოდეს.

აქ თუ თვითონ ავტორი არ ავალაპარაკეთ, სულელობას ნალაპარაკევისას არავინ დაიჯერებს. გლეხს ვითომც ავტორისათვის უთქვამს: „ძნა ისევ იქ ჩავიტანე (ესე იგი „სანადელო“ მიწაში), დავცალე ურემი და ველოდე ერთი დღე, მეორე დღე, მესამე, მაგრამ სად არის, მოურავი. იქ ველოდე (?), მინამ საქონელმა ძნა არ დაშალა და არ გააოხრაო.“ ის დალოცვილი გლეხი, რაკი იქ ელოდდა, რაღა დააშლევინა და გააოხრებინა ძნა საქონელსა? თუ ჩემი მეოთხედი არ ენანებოდა, თავისს სამს მეოთხედს მაინც უპატრონებდა, რაკი იქ ყოფილა ძნასთან. ეს ლოდინი, მინამ საქონელი ძნას გაუოხრებდა რა სიტყვის მასალაა? იქ ელოდდა და სეირს უყურებდა, საქონელი როგორ უოხრებდა ძნას, რადგანაც მარტო მაშინ გაუთავებია ლოდინი, როცა საქონელს ძნა გაუოხრებია

აბა რა დასაჯერია ასეთი სულელური ამბავი! ვთქვათ, გლეხი გაბრიყვდა და ეს უამბო ავტორს, ან ამ ვაჟ ბატონმა, ან „მოგზაურმა“ ეს ცხადზე უცხადესი სულელობა როგორ დაიჯერეს და თავიანთ პირით მოჰფინეს მთელს საქართველოს. აი უჭკუო ტყუილს რა მოკლე ფეხები აქვს, აი საბოროტოდ აშლილს საღერღელს, დაჟინებულს და თავ-დაუჭერელ სურვილს ადამიანთა გაბიაბრუებისას სადამდე შესძლებია თვალის აბმა, ჭკუა-გონების დახშობა!

თუნდ ეგეც არ იყოს. განა არის საქართველოში სოფელი, რომ ან მამულის პატრონს, ან თვითონ სოფელს არა ჰყავდეს მეველე, რომელიც, თუ მინდორში წანახედია სადმე, ვალდებულია ან თვითონ უზღოს წანახდენი პატრონს, ან უტყუარი გეში მისცეს იმისი—თუ ვისს საქონელს წაუხდენია, და მერე ორ კაცს უნდა გადააწყვეტინოს საზღაური.

თუ ის ძნის გაოხრება მართალია და აქ განძრახ ჩაკერებული არ არის. განა ძნის პატრონი შეარჩენდა ვისმე საზღურს და არ შეატყობინებდა ან მეველეს, ან მამულის პატრონს, რომ წანახდენი ასე თუ ისე დაებრუნებია. ვთქვათ, გლეხ-კაცმა სულგრძელება და კაცთ-მოყვარეობა გამოიჩინა და საზღარი აპატია დამნაშავეს, ხარბი და გულქვა მამულის პატრონი ხომ თავისას არ შეარჩენდა და მაშასადამე, ხსენებულ გლეხის ძნის გაოხრება შარშანდელ მეველეს შეტყობილი ექმნება. აბა ეს მითამდა გლეხ-კაცის გულშემატკივარი ვაჟ-ბატონი წავიდეს და მეველეს გამოჰკითხოს, მართლა გაუოხრა საქონელმა ძნა არამც თუ იმ გლეხსა, რომელსაც ვითომ ეს ამბავი უამბნია, არამედ სხვას ვისმე ახალ სოფელში.

მეორე ბრალი, რომელსაც გლეხისათვის ვითომდა გულ-დამწვარი კორესპონდენტი მე მწამებს, ის არის, ვითომც მე ერთ მემამულესთან ერთად მთავრობას ჯარი ვთხოვე „ბუნტის ჩასაქრობად“. ესეც მტკნარი ტყუილია ლილახანა წამხდარ ავტორისა, რომ მეტი არა ვთქვა-რა აი აქაც რა თაღლითობაა ავტორის მხრით და რა მოურიდებელი ტყუილია.

პირველ ხანებში, როცა გლეხთა მოძრაობამ საგურამომდინაც მოაღწია, მე ავად ვიყავ და ტფილისიდამ ფეხი ვერ გავდგი. ხედი-ზედ ჩემის მოურავისაგან წერილი მომდიოდა, *) მოჯამაგირეები, მწყემსები, პურის მცხობელი და სხვანი სულ გაგვიფანტესო და გაგვირეკესო, ამოდენა ცხვარი, საქონელი, ცხენი და ღორი, **) ამოდენა სახლ-კარი, პური, ღვინო უპატრონოდ დავგრჩაო, ტყეს შეესივნენ და სოფლეურად სჩეხენო.

ჯერ არ დავიჯერე სწორედ მოგახსენოთ, არ მეგონა, რომ საგურამოს გლეხ კაცობა ასე გამომიმეტებდა, მაგრამ რა გაეწყობა? რაკი ნიაღვარი მოსკდება და მოვარდება, მართალი და მტყუანი თან მიაქვს, ყური მოუყრუე მოწერილ ამბებს და ოთხ თუ ხუთიოდ დღეს გავუჩუმდი. მით უფრო, რომ სოფლის სასახლეში ერთი ნასწავლი მეფუტკრე რუსი მყავს, რუსეთში სოფლის სკოლის მასწავლებლად ყოფილი, და იმისგან არა ვიცოდირა. ბოლოს ამისი ბარათიც მომივიდა. მწერდა: სასახლეში მარტო მე, მოურავი და მისი ცოლი-და დავრჩით ეს ამოდენა საქონელი გომებში დამწყვდეულია უსმელ უჭმელ უპატრონობისა და უკაცურობის გამო, გულამღვრეულ გლეხკაცობის შიშით კარში ველარ გამოვსულვართო. თუ ასე იქნებაო და მალე არ მოგვეშველებით, მეტი გზა არ არის, აქაურობას თავი უნდა დავანებო და ამოდენა ფუტკრი (ასს ორმოცამდე სკაა) ღმრთის ანაბარად დავტოვოო. მოურავიც წასვლას აპირობსო.

მაშინ კი ტფილისიდამ კაცი გავგზავნე და მივწერე მოურავსაც და მეფუტკრესაც,—ნუ შიშობთ, გლეხ-კაცნი ისე არ გასულელდებიან, რომ კაცს დაუშავონ რამ, ავ კაცობა რამ შეამთხვიონ. ერთი ორიოდ დღე როგორმე უპატრონეთ მანდაურობას და მე ვეცდები მოჯამაგირეები აქ, ტფილისში, ვიშოვოთ და მოგაშველოთ მეთქი. ვიშოვე და გაუგზავნე კიდეც, მაგრამ გლეხ-კაცებს ესენიც დაეშინებინათ და გამოერეკნათ. აქედ მოვდეგ, იქით მივდეგ და კაცი ველარ ვიშოვე მოჯამაგირედ გლეხ-კაცობის და ამ არეულობის შიშით.

რა უნდა მექნა? ნუ თუ ამოდენა ქონება და საქონელი უნდა დამეღუპნა. ან გლეხებს ამით რა შეემატებოდათ? ბოლოს, რომ ველარას გავხდი მაზრის უფროსს დეპეშით ვთხოვე, შველა რამ გაგვიწიეთ-მეთქი. ღმერთმა უშველოს, მაშინვე სამი „სტრაჟნიკი“ გამოეგზავნა,—სასახლეს და კარ მიდამოს უპატრონეთო, „სტრაჟნიკები“, რა თქმა უნდა, მე ჩემთან დავაყენე, მე ვასმევდი მე ვაჭმევდი, ცხენებს მე უნახავდი და ერთი იმათგანი სოფელს არც კი მიჰკარებია, არც ერთს მათგანს გლეხ-კაცის წკირისათვისაც ხელი არ უხლია. როცა მოჯამაგირენი ვიშოვე, „სტრაჟნიკები“ მაშინვე დავითხოვე

ნუ თუ ჩვენმა გალაღებულმა მხილებელმა ეს ამბავი ჩაიწვეთა ყურში და ბუზს აქლემი აშობინა თავის ახირებულ სურვილისამებრ იმ სახით,—ვითომც მე ჯარი მეთხოვოს და გურამიან კარს ჩამეყენებინოს. პირდაპირ ვამბობ: არც მითხოვნია და არც მოვითხოვ, თუ ჩვენს ავტორის და „მოგზაურის“ წყალობით, ზედ მოსევა ჩემზე გლეხისა არ მოხერხდა და ან ერთმა, ან მეორემ საქმე ისე არ გამიხადეს, რომ მათ მიერ მოსეულს და ასისინებულს გლეხ-კაცობას მტრულად დავხვდე, რაკი, ჩემდა სამწუხაროდ, ჩემდა საუბედუროდ, სხვა გზა არ იქნება თავის გადარჩენისა. ეს უფლება თავის გადარჩენისა ბუნებამ ყოველ თვითვეულ ცალკე ჰია-ღუასაც კი მიანიჭა, და ნუ თუ მარტო ჩემთვის ღმერთმა არ გამოიმეტა, რომ მით ასიამოვნოს ჯერ პირველ „მოგზაურს“ და მერე მის მიერ ხელ-აპყრობით მიღებულს ავტორს. შესაძლოა საწადელმა თავბრუ დასხმულ ადამიანისამ ამ ჭკუათა მყოფელობამდე მიახწიოს, რომ მე ეს უფლება ჩამომართოს. მე კი მაინც პირდაპირ ვიტყვი, მე ჯარი არც მითხოვნია და არც მოვითხოვ.

ამას იმიტომ-კი არ ვამბობ, რომ ჯარის მოწვევა ძალ-მომრეობის და ერთმანეთზე მისევის და-საწყნარებლად რაკი სხვა გზა არ არის, სამარცხვინო რამე მიმაჩნდეს, პირ-იქით, ბევრი იმისთანა ჭეშმარიტის გულით მოყვარეა გლეხისა, რომელსაც ჯარის მიწვევა ერთად ერთ ღო-

*) გლეხებსვე ჩამოჰქონდათ მალულად.

**) ყოველივე ესე კარგა ბლომად მყავს, ჩემის მხილებელის სამწუხაროდ.

ნეო საზოგადოებაც. ამათი ხელქვეითი დაწესებულებანი არსებობენ ყოველ გუბერნიაში, მაზრაში და ბევრგან საბოქაულოშიც. ესენი ყველა ვიცი და გამიგონია, მაგრამ ის კი ვერ გამიგია, თუ რას აკეთებენ ეს დაწესებულებანი. მათი მიზანი და დანიშნულება ჩინოვნიკების გამრავლება და მარტო ბიუროკრატიული მიწერ მოწერაა, თუ რაიმე სარგებლობის მოტანა ბეჩავი და უმეცარი ხალხისითვის? ჩემი ფიქრით, უფრო პირველი, რადგან დიდი ხანია ცხოვრებას უკვირდები და მათი წყალობით სოფლათ მეურნეობის გაუმჯობესებას ვერ ვხედავ.

მეურნეობა ჩვენ სოფლებში ისეთსათსავე მდგომარეობაშია, როგორშიაც აბრაამ, ისააკ და იაკობის დროს იყო. ერთი ბიჯი ამ დარგში ჩვენმა ხალხმა გადადგა ამ თუთხმეტიოდე წლის წინეთ, როდესაც ბ-ნმა სტაროსელსკიმ ხალხს ვენახის დამყნა ასწავლა და მით ფილოქსერასთან ბრძოლის საშუალება მისცა. სხვებს კი ამ აუარებელ სპეციალურ დაწესებულებათა და პირთა წყალობით ბევრი სულ უბრალო რამ ვერ შეითვისა ხალხმა და შემდეგ დიდი დაკვირვებისა და ზარალისა თითონ დაადგა გარკვეულ გზას. მაგალითად, აგრონომების რჩევით პირველ ხანებში ნამყენ ვენახს დარგვის დროს ერთ ალაბზე აცილებდენ ერთი მეორეს, მაგრამ ეს ძლიერ ხშირი მოვიდა და ბევრმა შემდეგში გაზრდილი ვენახი გამოთხარა შიგ და შიგ. დღეს კი $1^1/_2-2^1/_2$ არშინზე რგავენ ნამყენ ვენახს. მეორე, ბორდოსის სითხის შესამზადებლათ სპეციალისტები გირვანქა შაბიამანსა და ნახევარ გირვანქა დაუშლელ კირზე ერთი ფუთი წყლის დასხმის ნებას გვაძლევდენ. თურმე ნუ იტყვით, გირვანქა შაბიამნით ორი-სამი ფუთი ბორდოსის სითხის შემზადება შეიძლება, მხოლოდ კირი თუ ცოტა მეტი არა, იმოდენი მაინც უნდა იყოს წონით, რამდენიც შაბიამანი. ეს ამერიკა ხალხს სიღარიბემ და შაბიამნის საარაკო სიძვირემ აღმოაჩენია. ნუ თუ ამ შემთხვევაში სპეციალისტებს ხალხი ადრე არ უნდა დაეყენებიათ გერკვეულ გზაზე და აეცილებიათ მისთვის უსარგებლო მილიონიანი ხარჯები?!

თუ საზღვარ გარეთ ხელოვნურად შემზადებული ღვინოები ბოთლი 5, 10 და 15 მანეთი ღირს, რატომ ბუნებით უხვად დაჯილდოებულ საქართველოში არ იფიქრეს შესაფერი ჯიშის ვაზების გაშენება და რიგიანი ღვინის დაყენება? განა ცოდვა არ იყვენ ჩვენებური მევენახეები, როდესაც ფუთ ღვინოს 1—2 მანეთად ყიდდენ და ეს კი ვენახის დამუშავებას არ ყოფნიდა?

ავიღოთ აბრეშუმის თესლი, რომელსაც დღემდის საფრანგეთიდან, იტალიიდან და მგონია ჩვენსავით დაქვეითებულ სათათრეთიდანაც კი იწერენ. რატომ არ უნდა შეიძლებოდეს მისი აქვე დამზადება, როდემდის უნდა ვიყოთ სხვის ხელში შემყურე? შაბიამანი ინგლისიდან მოგვქონდა და მოგვაქვს.

მიწად მოქმედების სამინისტროჲ მისმა ხელქვეითმა დაწესებულებებმა და სპეციალისტმა პირებმა არ თუ ის არ იღონეს, რომ ეს საჭირო ნივთიერება ჩვენსავე სახელმწიფოში ბლომად დამზადებულიყო, ისიც ვერ ითავეს, რომ უცხოეთიდან დროზე შემოტანილიყო. კერძო ვაჭრებმა კი შაბიაბანი იშოვეს და საწყალ ხალხზე მამასისხლად გაასაღეს.

რა იქმნებოდა ამაზე მეტი, რომ არც მიწადმოქმედების სამინისტრო ყოფილიყო და არც მისი ხელქვეით დაწესებულებანი ჩვენში ახლად ფეხმოკიდებული სასოფლო ბანკებითა და კოოპერატივებით? მე იმას არ მოგახსენებთ, ვითომც ეს დაწესებულებანი საჭირონი არ იყვნენ მაგრამ რომ მათ ენერგია და ინიციატორული სული აკლიათ, ამაში ეჭვი არ არის.

მიწის ხელოვნურათ განაყოფიერებასა და გაუმჯობესებული იარაღით დამუშავებაზე ჩვენ სოფლის ხალხს წარმოდგენა არ აქვს. ის ადამის დროის კავით ჩიჩქნის მიწას და თესავს სიმინდს, მაგრამ გამოფიტული ნიადაგი ხშირათ თესლსაც არ უბრუნებს. საჭიროა სხვა და სხვა პირნახულის მცენარეულობის გავრცელება. ამ სოფლებში ბოლო დროს იაპონური სოიის თესვა იწყეს, მაგრამ ამ მცენარის კულტურისა და სარგებლობის შესახებ არაფერი იცოდენ. აჭმევდენ მარტო საქონელს პარკიანა. ასე გასინჯეთ, ამ მცენარის მარცვლით ღორსაც არ ასუქებდენ, ხორცს გლახა სუნს აძლევსო!! თურმე ეს მცენარე დიდათ სასარგებლო ყოფილა და ამის შეგნებამდის წლევანდელმა შიმშილობამ მიიყვანა სოფლის ხალხი, ამ მცენარის მარცვალი სიმინდთან შედარებით ცოტა და ჩქარა ასუქებს პირუტყვს, რომელიც საუკეთესო ღირსების ხორცს იძლევა, ბევრმა ადამიანის საკვებათაც სცადა და საუკეთესო გამოდგა. ამ მცენარის მარცვალში თანაბრათ არეული სიმინდი რომ დაფქვა და აფუნებული გამოაცხო, ისეთი მშვენიერი საჭმელი პური გამოდის, რომ შეჭამანდი არ ეჭირვება! რა კარგი იქმნებოდა, რომ ამ მცენარის სარგებლობა და ხმარება ცოტა ადრე გაეცნოთ ხალხისათვის სპეციალისტ-მეურნეებს.

ავიღოთ ვენახის ჭირის ნაცრის წამლობა. აგრონომები ამ სენის წინააღმდეგ მარტო გოგირდის ხმარებას გვირჩევენ. მაგრამ ეს საშუალება უებარი არ გამოდგა ვენახები კი ნადგურდება კარგი ხანია ნაცრისაგან. იმედ დაკარგულმა ხალხმა იფიქრა: იქნება სატანა მართლა სატანით განიდევნოსო და დანაცრულ მტევნებს აცარი მიაყარა შედეგი ჯერეთ დიდი საიმედო არ არის

ძლიერ საჭიროა ჩვენ მეურნეობას ზედმეტი ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს. საჭიროა როგორც სამეურნეო ლიტერატურის გავრცელება სოფლის ხალხში, ისე სპეციალისტთაგან გასაგები ენით ლექციების კითხვა და მეურნეობის სხვა და სხვა დარგში მაგალითების ჩვენება პრაქტიკულათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენში ქრონიკულ სიმშილობას დასასრული არ ექმნება.

სიმონ ივანეშვილი.

## ჩემი პასუხი „არა ებრაელს“.*)

(გაგრძელება იხ. „სამშ.“ № 399)

ამ დროს, როცა მთელი ქვეყნიერების ებრაელობა სტირის, თქვენ მხიარულობთ, თუ თქვენ იმათსავით სტირით იმათსავით გლოვობთ, იმათსავით ნაღვლობთ? ნუ თუ იმ დროს როცა ლეჩხუმელი ებრაელი სტირის, ფიქრობს, ნაღვლობს, ნატრობს, განა იმაზე არ ფიქრობს, განა იმაზე არ სტირის, არ ნატრობს ფილადელ ფიის ებრაელიც?. იქონიეთ გაბედულება ბ-ნო ავტორო! და მიპასუხეთ ყოფილა თუ არა საერთო იდეა ჩვენ შუა. ეგებ მიპასუხოთ: წელიწადში ერთხელ ხდება ეს და საერთო გავლენას ვერ ახდენს ებრაელზე, რომ ერთმანეთზე ვიფიქროთო განა მაგისთანა იდეაზე დღეში სამჯერ, რომ შედიხართ (თუ შედიხართ) სალოცავში არ ფიქრობთ: „უფალო დაუდე მშვიდობა შენს ერს და შეგვკრიბე ყველა სიონშიო“ ასე არ ამბობთ დღეში სამჯერ? ეს ვსთქვათ პასექი კარავობა, მასთან თორა (ებრაელის უქმებია) სარწმუნოების გამომხატველია, მაგრამ ხანუქაში პატივცემულო სტუდენტო! ანთებენ მამა თქვენის სახლში რვა სანთელს, თუ არა? რას ნიშნავს ეს რვა სანთელი? განა ის მომაგონებელი არ არი ჩვენი გმირების იუდა და მისი ძმები მაკაველების. ეს ხომ ისტორიული ხსოვნაა და წმინდა ეროვნული? აბა რა უნდა ამ სანთლებს თქვენს სახლში, თუ ეროვნული არაფერი გაქვთ რა ებრაელობასთან. ფურიმს მგონი ძაან მხიარულათ ატარებთ პატივცემულ ქუთაისის ებრაელნი (და მრავალს უსურვებთ კიდეც)—თუ საერთო თქვენ არაფერი გაქთ ებრაელობასთან, რატომ უქმობთ იმ სპარსეთის მონობიდან ისტორიულ დახსნის დღეს. აბა, თუ კი, როცა ებრაელობა სტირის, თქვენც სტირით და როცა მხიარულობს, თქვენც მხიარულობთ წარსულზე, მომავალზე კი რასაც ისინი ფიქრობენ და ელიან ამას თქვენც ელით და ფიქრობთ აბა რითი ყოფილხართ დაშორებული ებრაელობას? გიმეორებეთ თქვენ თავს ატყუებთ და სხვაც გინდათ მოატყუოთ და, ნეტავ ვიცოდე რისთვის? ეგებ თქვენ გგონიათ, რომ ამითი მეტი სიყვარულს დაიმსახურებთ ქართველ ხალხში. მე სრულიათ არ მრწამს ეს, ქართველი ხალხი ამას ჩვენ არ მოგვთხოვს და არც მოუთხოვია, და არც დიდი სასარგებლოა მათთვინ რომ ასე მოვიქცეთ. კიდევაც ქალი, რომ ქმარს უღალატებს და დაგმობს წმინდა ცოლ-ქმრულ კავშირს განა ის სხვასაც ადვილათ არ უღალატებს? ქართველი ერი სწორეთ ამაშია საქები სწორედ ამიტომ გვიყვარს, რომ მათ არ მოსწონს ის ვინც სამშობლოს ღალატობს. მათ იციან, რომ ასიმილაციის წესი ასეა, დღეს ქართველათ აღვიარებ თავს და ღვთიდან დაკავშირებულ ერს გაურბიხარ ხვალ რუსები მოგეწონება და მათთან გაქცევი, ან და შენ თუ ქართველები გიყვარს მეორეებს კი რუსები.

ქართულ ისტორიაში ვერ შეხვდებით იმას, რომ ქართველ ერი დესპოტურად მოპყრობოდეს სხვა ერს და ეხლა საჭიროა მხოლოდ ჩვენი ვალი გადავუხადოთ მათ მაგარი ფრაზებით, ყვირილით, და ლაპარაკით კი არა, არამედ საქმით, ჩვენი ეროვნება, თუ კი ჩვენში შეგნება გაძლიერდება, არამც თუ ხელს არ შეგვიშლის ქართველი ერის სიყვარულში, არამედ ნათლათ დაგვანახვებს ჩვენს ვალს მათ წინაშე. თქვენ ამბობთ: „ბააზოვის წერილებს ვინც გადახედავს მას ერთი რამ წაუდგება თვალ წინაო ესე იგი სრულიათ ეწინააღმდეგება დებულება ერთი წერილისა მეორისასაო პირველში მოგვიწოდებს ქართველ ერთან ერთად ხელ ჩართული უნდა ვიაროთო მეორეში კი მოგვიწოდებს შევარდგინოთ საკუთარი წრე რომლის მიზანიც იქნება ებრაელ რის და კულტურის გაძლიერებაო“, დიახ ბ ნო სტუდენტო!—თქვენთვის გაუგებარი ყოფილა ყოველი ჭეშმარიტი და სასარგებლო გზა. ეს რომ ასე არ იყვეს თქვენ კარგათ და ნათლათ დაინახავდით, რომ ჩემს ყოველივე წერილს აქვს ნათელი მიზანი. ეს მიზანია 1. აღორძინება საქართველოს ებრაელებისა კულტურულათ და ეკანომიურათ 2. ჩვენი მტკიცეთ დაკავშირება ქართველებთან. ქართველების მიერ წამოყენებულ ყოველივე საკითხში, რადგანაც მათზე არის დაკიდებული ჩვენი ერის იმედებიც. სრული იმედი გვაქვს ქართველი ხალხისა. თუ კი უფლის შემწეობით ისინი რაიმე ბედნიერებას მიაღწევენ, მაშინ არც ჩვენ ჩამოგვტოვებენ უკან, პოლონელებმა რომ ავტონომია ისუნეს ყველაზე წინ ებრაელების შეზღუდვა განიზრახეს. ქაბოტონსკიმ საჯაროთ დასწერა რუსულ გაზეთ „ოდესკია ნოვოსტში“ რომ პოლონელების ავტონომია მეტათ ავნებს პოლონელების ებრაელებს, ვიდრე რუსეთის ბიუროკრატის რეჟიმიო. მაგრამ პოლონელმა ებრაელებმა ქაბოტინსკის საშინელი პროტესტი სტკიცეს. ოღონდ ჩვენმა სამშობლო პოლონეთმა იღირსოს თავისუფლებასაო და ჩვენ არამც თუ ხელს შეუშლით, არამედ ერთათ ხელ-ჩართული ვივლითო. თუ ჩვენი ძმები თავიანთ მოვალეობას ასე ნათლათ ასრულებენ თვით იმ ხალხთან ვინც მათ ავიწროებს, აბა როგორ უნდა მოვექცეთ ქართველ ხალხს!

რაბინი დ. ბააზოვი.

(შემდეგი იქნება.)

*) ვბეჭდავთ ბ-ნ ბააზოვის წერილს უცვლელად.

ჩვენ ყოველთვის ამ აზრისა ვიყავით და ვართ, რომ თითოეულ ერს, თითოეულ ხალხს უფლება აქვს თვით გამორკვევისა, თავის ისტორიულ უფლებესისა და ეროვნულ პსიხოლოგიის დაცვისა.

კამათი, რომელიც ასტყდა ქართველ ებრაელთა მწერლებ შორის მით უფრო საყურადღებოა, რომ ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბდება ჩვენი ისრაელების აზრი და გულისთქმა და ჩვენთვისაც თვალსაჩინო იქნება მათი ჩვენდამი დამოკიდებულება.

გარდა ამისა, ქართველ ებრაელების წერილები გამოაფხიზლებენ ქართველ ებრაელთა ახალ-გაზდობას და განათლება-თვით-შეგნების გზაზე დააყენებენ.

შეგნება და შესმენა კი ისეთი დიდი განძია, რომ მისი მადლი გაათბობს ყველას. ამიტომ, ერთხელ კიდევ ვიმეორებთ, სიამოვნებით დაუთმობთ ჩვენის გაზეთის ფურცლებს ქართველ ებრაელთა მწერლებს.

რედ.

ნისძიებად მიაჩნია, რომ გლეხ-კაცმა ჯარის შიშით ძალ-მომრეობა, ძარცვა-გლეჯა, ცეცხლ-წაკიდება და სხვა ამისთანა არა ჩაიდინოს რა, რადგანაც მოვა დრო ყველა ეს საზღაურად გაუხდება უამისოდაც მიწასთან გასწორებულს და წყალწაღებულ გლეხკაცობას იმასა ღარ ვიტყვით რომ ამისთანა ცუდ-კაცობა და ავ-კაცობა ყოველს სასურველს მოძრაობას სახელს უტეხს და ამიტომაც ზოგს კაცს ორ წყალ შუა აჩერებსო.

იქნება ესეც იყოს, მაგრამ მე ამ მოძღვრების თანაზიარი არა ვარ, რადგანაც ჯარის შიშით შესაძლოა ბევრ ავთან ბევრი კარგიც შეფერხდეს, ბევრი კარგითან გადჰყვეს. თუნდა ეგეც არ იყოს, თუ მარტო კაცთ მოყვარეობა და სულგრძელობა არა, პირდაპირი ანგარიში თხოულობს, რომ კაცმა ჯარი არ მიიწვიოს აწ გულზე მოსულ გლეხ კაცობის დასაწყნარებლად, რადგანაც ხვალე, ასე, იქნება თუ ისე, ამ გლეხობასთან მოგვიხდება სულიერი ცხოვრება. განა ეს მოსალოდნელია, განა ეს შესაძლებელია ჯარისაგან დაწიოკებულ და აკლებულ გლეხ კაცობის მხრით? კაცს ადამიანის ბუნებისა არაფერი არ უნდა გაეგებოდეს, რომ აქ ჰო სთქვას.

დავანებოთ ამასაც თავი და ეხლა სხვა მხრივ გავუსინჯო კბილი ამ ჩვენის მაბეზღარის ბეზღობას. ვსთქვათ, კორესპონდენტის სიტყვისამებრ, მთავრობამ ჯარი გაგზავნა საგურამოში. სხვათა შორის, ჩემის თხოვნითაც. რაკი ეს ჩემი თხოვნაც საბუთად დასდებია ჯარის გაგზავნას, ამ თხოვნას ხომ კვალი რამ უნდა დარჩენოდა ან მაზრის უფროსის, ან გუბერნატორის, ან მთავარ მართებლის კანცელიარიაში. ამისთანა არა სახუმრად, პასუხის საგებელი მძიმე საქმე როგორც ერთობ ჯარის გაგზავნა და ჩაყენება სოფელში განა შესაძლებელია ისე, რომ მიწერ მოწერა არ გაემართად და შიგ თხოვნა სხვისასთან ერთად ჩემიც არ დაესახელებინათ, ვითარცა მიზეზი?

კორესპონდენტმა რომ თავისზე მეტი სუნის ამღები მეძებრები არბეინოს საძებნელად, საგურამოს ჯარის ჩაყენბის საქმეში ვერსად ვერ იპოვის ჩემის სახლის ხსენებასაც, რადგანაც ჯარი არავისათვის მით ხოვნია არც სიტყვით არც წერილით. თუ გაჭირდა, ამის ოფიციალურ მოწმობასაც წარმოვადგენ.

ვთქვათ კიდეც, რომ იმდენი შევიძელი და ჯარი გავაგზავნინე. სამ-ოთხ დღეს შემდეგ ხომ ჯარი უკანვე წამოვიდა, თუმცა ხალხი დღეს აქამომდინაც არ დაწყნარებულა და პირვანდელს ყოფაშია თითქმის თუ ჯარის მიწვევა შევიძელ, ნუ თუ იმას კი ვერ შევიძლებდი, რომ ჯარი იქავე დარჩენილიყო, მინამ გლეხ-კაცობა არ დაწყნარდებოდა, და ეგრე მალე უკან არ წამოსულიყო.

მაშ რად უნებებია ამ ჩვენს გახუნებულს ავტორს ამისთანა ტყუილის ხელდახელ გამოცხობა? მად, რომ კაცია და გუნებაო ღმერთმა ესეთი კაცობა და ესეთი გუნება, თუ ბუნება, მშვიდობაში მოახმაროს ავტორს იმ ერთგვარ ჯგუფის სადღეგრძელოდ, რომელიც არავითარ საზიზღარ ცილის წამებას არ ჰთაკილობს, ოღონდ კი ჰუჭყი რამ მოსცხოს მისს არა მასიამოვნებელს და არა თანამოზიარეს.

მესამე ბრალი, სხვებზე არა ნაკლებ ტყუილი, ის არის, რომ „არც დიდებული ილია ჭავჭავაძე“ თურმე და არც სტაროსელსკი გლეხებს ნებას არ აძლევს ზეზე სადგომის აგებასო. ამას კი ჩვენი პატიოსანი კორესპონდენტი თავისით ამბობს და არა სხვისა სიტყვით, სტაროსელსკისა არ ვიცი, და „დიდებული ილია ჭავჭაძე“ კი არა დიდებულს და ძალიან დანამცეცებულს ავტორს მოახსენებს, რომ საგურამოში გლეხთა საბინადრო ადგილები ერთი მტკაველიც არ ეკუთვნის არც ილია ჭავჭავაძეს, არც მის მეუღლეს და სულ საპეკუნოშია და, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მთლად სხვისი მამულია. მაშასადამე, სხვის მამულში რა ხელი მაქვს ან დავუშალო ვისმე, ან ნება ვაძლიო ან მიწურის გათხრისა, ან ზეზეურად სახლის აგებისა, ძალიან გულითაც რომ მინდოდეს.

ან აბა რა ხელსაყრელია, რა სახეიროა ვისთვისმე—გლეხ კაცს, რომელსაც თავის საბინადრო ადგილში მიწურის გათხრის ნება აქვს, ზეზეურად სახლის დადგმას უშლიდეს ვინმე. აბა ეს ასეთი დაშლა რა ჭკუაში მოსასვლელია? იმ ჭკუაში, ბატონებო, რომელიც ღმერთს სხვებისთვის დაურიგებია და ზოგიერთისთვის კი არ გაუმეტნია,—მეტი ბარგი იქნება და ვერ ატარებსო.

ამ სახით, ეს ზეზეურად სახლის დადგმის ამბავიც ჩვენ გახუნებულ ავტორის მიერ შეხანხლილი ჭორია და მისდა სასახელოდ ისიც უნდა დავუმატოთ, ორმ გლეხის ნაამბობი კი არ არის, მის მიერ საკუთრივ მოგონილი და შეთხუზულია და ამიტომ არის ასეთი კარგი და ლაზათიანი

რომ ეს მართლა ჭორია და არავითარი საბუთი არ მიუძღვის, ვთხოვ ავტორს წაბძანდეს და თავის თვალით ინახულოს თუნდ ტფილისიდან პირველი სოფელი წიწამური, *) რომელიც საპეკუნო აღგილშია და ითვლება ხუთ საგურამოს სოფელთა შორის და დიდს შარა გზაზეა, წაბძანდეს-მეთქი, თუმცა უამისოდაც აქამომდე ათასჯერ აუვლია, და ინახულოს რამდენი სახლია, ზეზეურად წამოჭიმული ბექობზე, ზოგი კარგა ხნის ნაგები და ზოგი დღესაც არ დამთავრებული.

თუნდ ეგეც არ იყოს, საბძლები, სასიმინდეები და სხვა ამისთანა სამამულო შენობანი ხომ ყველგან ზეზეურადა დგას და, თუ ამათ ზეზეურობას წინ არავინ უდგა, სახლების ზეზეურად დგმას რაღა ჭკუაა წინაღუდგეს. განა აშკარა არ არის, სადა სცემს ავტორი, როცა ამისთანა ჭორს იგონებს. აშკარაა ავტორს სდომებია ამ ჭორით ქვეყანა დაერწმუნებია, რომ, აი „დიდებული ილია ჭავჭავაძე“ რა ღმრთის რისხვა კაცი ყოფილა,—გლეხს უნდა მიწურიდამ ამოძვრეს, მზე დაინახოს, სალი ჰაერი ჰყლაპოს და ჭავჭავაძე კი არ უშვებს და ამ სახით გლეხ-კაცს მიწურში აღშთობს.

მეტი შხამი-და შეიძლება გულში ატაროს კაცმა კი არა, თუნდ ასპიდმა გველმა, რომ კაცს არც სადმე გლეხი ჰყვანდეს, ერთი მტკაველი საბინადრო მიწა არ ებადოს, ერთი რამ სადმე მიწური გლეხისა არ გააჩნდეს და მაინც იმისთანა გესლიანი კბილი-კი გამოჰკრას, იმისთანა უღმერთობა დასწამოს! აკი მოგახსენეთ, დანახვით კი მხედვენ და საიდამ და როგორ მომვწვდნენ, ის კი არ შესძლებიათ.

ამაზეა ნათქვამი: თხამ სანეკრე დაინახა და სახტომი კი არ გაუსინჯაო.

ილია ჭავჭავაძე.

(შემდეგი იქნება.)

*) მარტო ერთი რვა თუ ცხრა კომლიანი სოფელია, წიწამურად წოდებული, საცა მარტო ორი თუ სამი კომლი ნაყმევია ზაალ გურამიშვილისა.

## ქართველ საზოგადოებას

„მეგობრის“ ხელმძღვანელმა საზიზღარი წერილი დასტამბა ჩემს შესახებ, როგორც ეტყობა, უპატრონოდ დარჩენილ გაზეთ „მეგობარში“.

მისდამი პასუხის გაცემა მიმინდვია გაზეთ „მეგობრის“ დამაარსებელთათვის გიორგი ზდანოვიჩისა და კიტა აბაშიძისათვის და ამის შემდეგ კი ვნახოთ...

ახლა კი მინდა საზოგადოებას მოვახსენო შემდეგი... ის ბრალდება, რომ მე ჩხიკვიშვილი ვითომ რაიმე ანგარიშებით დამეხატოს და ქათინაურები მეძლვნას მისთვის—სიცრუეა. სურათი ზედწარწერით მომიტანა ბ ნაა ილია ბახტაძემ, რომლის საშუალებითაც გადავახდევინე მხოლოდ კლიშეების ფული...

სცრუობს აგრეთვე „მეგობარი“, როცა ამბობს, რომ „ერთს სადირექტორო კანდიდატს ჩვენი ქვეყნის მხსნელად ვსახავდი, რისთვისაც 300 მ. მომცა, მაგრამ შემდეგში კი—როცა ფულები აღარ გაიმეტა, მე იგი ადამიანი ჯვარზე ვაცვი“.

„იგი ადამიანი“ არის ბ-ნი რაჟდენ დათეშიძე, მომცა მან არა სამასი მანეთი, არამედ ათას სამას მანათამდე (სხვადასხვა დროს, ვაჭრებში მოგროვილი ფული) რაც იმას ნიშნავს, რომ ქუთათური ვაჭრები და საზოგადოდ ქართველი მკითხველი საზოგადოება, საუბედუროდ ჩვენი ფედერალისტებისა, თანაუგრძნობს იმ იდეას, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით.

ფულის გროვება დაიწყო ბ-ნმა დათეშიძემ მას შემდეგ, როცა კარგა ხანი გავიდა მის დირექტორად არჩევის დღიდან და თავისი თავი ჩვენი იდეის ერთგულ თანაგრძნობლად აღიარა ჩვენი კოლეგიის წინაშე...

მინამდე კი, ესე იგი, როცა ბ-ნი დათეშიძე კანდიდატათ იყო და ფედერალისტებმა მის წინააღმდეგ წამოაყენეს თავისი კაცი,—მე ორივეს მომხრეების წერილს ვბეჭდავდი „სამშობლოში“. პირველი წერილი, რომელშიც დამცირებული იყო რ. დათეშიძე, როგორც ფინანსისტი და როგორც ადამიანი და რომელიც დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში (ახლა დრო არა მაქვს, რომ მოვძებნო ეს ნომერი), ეკუთვნოდა ფედერალისტების ჯგუფს.

ეს წერილი მომივიდა შავი ქვის საბჭოს რემინგტონით გადაწერილი. მისმა მომტანმა, ფრიად სანდო კაცმა—დამისახელა გვარი ავტორისა და მეც დავბეჭდე.

როგორც უკვე ვსთქვი, ბ-ნი დათეშიძე ამ წერილში მიწასთან იყო გასწორებული.

ამ წერილმა გამოიწვია ბ-ნ დათეშიძის მომხრის პასუხი—აქ კიდევ ბ ნი დათეშიძე ცამდის იყო აყვანილი. ესეც დავბეჭდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო კიდევ რამდენიმე მოკლე წერილი ზოგი, Pro ზოგი contra, ხოლო როცა არჩევნები დაიწყო და ყველა ნათქვამ ნააზრი, საზოგადოების ხმა და კანდიდატების ვინაობა—რაობა შევადარეთ და ერთმანეთს დავუპირდაპირეთ, ჩვენი ხმა მივეცით ბ-ნ რაჟდენ დათეშიძეს.

რა არის აქ გასატრიზავებელი, თუ შვილი არ იყოს ჯოჯოხეთისა და ბიძაშვილი ქვეწარმავლისა ჩემი ბრალმდებელი!

აქვე ვსთხოვ ბ-ნ დათეშიძეს გამოაცხადოს: მქონია მე მასთან რაიმე დამოკიდებულება, თუ არა იმ დღემდე, ვიდრე თვითონ არ მოვიდა რედაქციაში და ჩვენ ჯგუფში ჩაწერა არ მოინდომა. (ეს კი მოხდა მის დირექტორად არჩევის შემდგ.)

მოგეხსენებათ, რომ ბ ნი დათეშიძე გავლენიან პირად ითვლება ვაჭრებში, თვითონაც შეძლებული კაცია და რაკი მოისურვა გაზეთის დახმარება, როგორც პირადად, ისე ქუთათურ ვაჭრების შემწეობით, მადლობის მეტი რა მეთქმოდა. აქ არც ქრთამზე შეიძლება ლაპარაკი და არც ჩემს მოსყიდვაზე. ვინ არ იცის, რომ ჩვენი გაზეთები „სოციალისტური“ თუ არა სოციალისტური, თავის თანამგრძნობლების ხარჯით უფრო ინახება და რა საძრახისია, ან დასამალი რა არის, რომ გაზ „სამშობლო“ თავის თანამგრძნობლების დახმარებით სარგებლობდეს!

რითი ინახავს თავს „თან. აზრი“? რითი სულ-დგმულობს „საქართველო“, რით იკვებება „სახალხო ფურცელი? რითი ღონღილობს თვით გაზეთი "მეგობარი"? განა მას გვერდით რომ არა ჰყავდეს „საბჭო“ და ბ ნი-სიხარულიძე, ერთი დღე კი იარსებებს?.

და თუ მე მას „მეგობარს“, „საბჭოს გაზეთი“ დავუძახე, იმიტომ კი არ დავუძახე, რომ ამ გაზეთის რედაქტორები სჭამენ სხვის ფულს, ან ქრთამებს იღებენ მეთქი, დავუძახე იმიტომ, რომ ტყვილად იკვეხის „ძლიერი“ პარტიის გაზეთი ვარო... და წვრილ ფეხობას კი ჩავარდნია ხელში!

ერთად ერთი პარტია ჩვენში დასელების პარტიაა, დანარჩენები უბრალო ჯგუფები ვართ და სხვა არაფერი. .

მე იმედი მაქვს, რომ ბოლოს ჩვენი იდეაც გაიმარჯვებს, მაგრამ დღეს კი მტკიცე ორგანიზაცია არა გვაქვს...

ეროვნულ მიმართულების ხალხს რომ ორგანიზაცია ჰქონდა განა მოჰკლავდენ ილიას? განა ნიკო-ნიკოლაძე დევნილი იქნებოდა? განა გაბედავდა „მეგობარი“ ამდენ ფაუხურს? განა ალალი და თავგანწირული შრომა თუნდა ისეთი პატარა კაცისა, როგორც მე ვარ, ფარგოსაძეების დასაწიხლავი გახდებოდა?

ეჰ, რა სთქვას კაცმა!.. მაგრამ მგონია, ჩემი წერილის საგანს გადავსცდი. მე მინდა ერთხელ და სამუდამოდ გავაქარწყლო ის უნამუსო ბრალდებანი, რომელიც „მეგობარმა“ წამომიყენა.

დიაღ, ბ ნმა დათეშიძემ დიდი დახმარება გაუწია ჩვენი იდეის გავრცელებას ქონებრივის შემწეობით, მაგრამ რა შუაში ვარ აქ მე—ია ეკალაძე-ჩემსთავზე მოვიხმარე ეს ფულები თუ?

მობრძანდით რედაქციაში და დაინახავთ, რომ არამც თუ ის ფულები, რომელიც გამოიღეს ბ-ნ დათეშიძემა და სხვა ვაჭრებმა, არამედ ჩემი საკუთარი სამი წლის უსასყიდლო შრომა, (ამ წლის იანვრიდან კი კოლეგიამ ცოტა ჯამაგირი დამინიშნა) არამედ ჩემ მიერ კერძო ვალად აღებული 80 თუმანი დავაყარე, რომელი ვალიც დღესაც გადაუხდელი მაქვს და რომელშიაც 40 % სარგებელს ვიხდი ყოველ თვე (სამოცი თუმანი ერთი ებრაელისა მმართებს, ასი მანათი ბ-ნ გრ გველესიანისა და სხვა. ბ-ნი გველესიანი, რასაკვირველია, პროცენტებს არ მახდევინებს.)

მე ვიცი, რომ ფედერალისტებს თვალში ეკლად ვევლინები, მე ვიცი, რომ მათ, როგორც ორ სკამზე მჯდომ ხალხს, ჩემისთანა მხილებელი არა ჰყავთ, იმიტომ, რომ მე ვიცი არა თუ მათი წარმოშობის ისტორია, არამედ მათი გულისთქმაც—და ჩემისთანა კაცის მოშორება, ან დაშინება, ან ხმის ჩაწყვეტა მათთვის დიდად ხელსაყრელია.

ამ მიზნით აამხედრეს ჩემს წინააღმდეგ ქართული გიმნაზიის მთავრობა, ამ მიზნით ყოველდღე მასხარად იგდებენ ჩვენს გაზეთს, თუმცა მასხარაცა და დაქვეითებულიც თვით მათი გაზეთი „მეგობარია“, ამ მიზნით ყოველდღე ათასგვარ ცილსა მწამებენ, ყოველდღე ჩემს სახელს ფეხქვეშ ათელვინებენ ვილაც-ვილაცებს,—რომ იქნება თავიდან მომიშორონ, მაგრამ ეს ნომერი არ გაუვათ!

მე ვემსახურები ისეთ იდეას, რომელიც ბევრს თვალთმაქცს ამოიჭამს და რომლის გულისთვისაც პირად შეურაცხყოფას არაფრად ვაგდებ.

ამ იდეის შებღალვის გულისათვის ვამხილე ბ-ნი დათეშიძეც, როცა მან „აბრუნდი“ ჰქმნა (რაც მოწმობს ჩემს სიმართლის მოყვარეობას)ამ იდეის გულისთვის ვებრძვი ყველას და ამ იდეის ხსენებით ჩავალ სამარეში...

არ მახსოვს, რომ, მას შემდეგ, რაც სამწერლო ასპარეზზე გამოველ, ერთი ამოსუნთქვითაც კი მეღალატნოს ამ იდეისათვის და გარდა ქუჩის ბიჭებისა, ვერავინ გაბედავს და ვერაფერ ცუდს ვერ დამიმტკიცებს.

„მეგობრელები“ მისაყვედურებენ—გაზეთი შემოსავლის წყაროდ გაიხადაო.

მოვუწოდებ ჩვენ კოლეგიას, მოვუწოდებ ჩვენ თანამშრომლებს, მოვუწოდებ ყველა იმას, ვინც კი ხედავს ჩემს მუშაობას დილიდან საღამომდე—ამხილონ ცილისმწამებელნი!

ამ გაზეთმა შეიწირა ჩემი პირადი ცხოვრება, ჩემი კარიერა! სხვაგან და სხვა სამსახურში თვეში ათას მანათს დავიმუშავებდი და „მეგობრის“ წვრილფეხობისთანა ლაქიები მეც მეყოლებოდა, მაგრამ მე ის მირჩევნია, ვამხილო ბოროტება, ვიდრე ლაქიები მყავდეს!...

ასეთი უზღური დამბადეს ჩემმა მშობლებმა და რა გაეწყობა!..

დარჩა კიდევ ერთი ბრალდება—ეკალაძემ ხელის მოწერა გამართა, წიგნი არ გამოსცა, და ფული კი შეჭამაო

ყრუისა და ბრმისათვის ათასჯერ არა სწირავენ?! ოცი გზობა მაინც გამოვაცხადე, რომ ქაღალდის სიძვირის გამო ჯერჯერობით წიგნს ვერ გამოვსცემ და ვისაც გინდათ ფული უკან ვე წაიღეთ მეთქი, და ზოგს მიაქვთ კიდეც მე ხომ ფედერალისტი არა ვარ, რომ საბჭო და ბანკები დავიხმარიო.

წიგნი მანეთში დაიკვეთეს და 2 მ. 80 ჯდება. საიდან დავაყარო ამდენი ფული? შევცდი, რომ ხელის მოწერა გამოვაცხადე, მაგრამ შეცდომა და ოინბაზობა განა ერთი და იგივეა!...

დასასრულ, მე ჯერ მოვიცდი, რა მსჯავრს დასდებს საზოგადოება ,მეგობრის‘‘ წვრილფეხობას და მერე ვნახავთ, რაც იქნება.

ია ეკალაძე.

## პასუხი

### ახალი „კვალის“ რედაქციას.

(იხილეთ „სამშობლოს“ № 399)

(დასასრული).

რაკი ზოგადად მაინც ვაიუწყე მკითხველებსა და პატივცემულ „ახალი კვალის“ რედაქციას არა კეთილგანწყობილება ჩემ დამი ბ-ნ. კორესპონდენტებისა და მეტად დიდი ზერელობა და ცალმხრივობა მათის ნაწერებისა, ახლა მინდა კერძოდ შევეხო იმ შეკითხვებს, რომელთაც მიყენებს „ახალი კვალის“ კორესპონდენტი ამავე გაზეთის ოცდამეცხრე ნომერში და თითოეულ მათგანს პასუხი გავცე რამდენადაც ეს შესაძლებელია.

ბ-ნი კორესპონდენტი მეკითხება:

1) 5 მარტიდან (დაახლოვებით) დაიწყო (თუ დაიწყეს?) თქვენმა მცველ მოურავებმა საქონლის ჭერა თუ არა მიუხედავად იმისა, რომ საბალახოს ღალა სოფელს გადახდილი ჰქონდაო? (ხაზი ჩემია).

ზევითაც მოგახსენეთ და ახლაც ვიმეორებ, რომ არაფერი ამისთანა არ მომხდარა. მე არ ვიკადრებდი მეორედ ღალის გადახდევინებას.

ასეთ საქციელს მეპატრონობა და წესიერება კი არ ჰქვიან, ასეთი საქციელი ბოროტმოქმედებაა და ბოროტ მოქმედებას კი ჩემ თავს არ ვაკადრებ. ჩვენც გვესმის ბ-ნო კორესპონდენტო იმდენი, რომ თქვენი და თქვენისთანების ყბად ასაღები არ გავხდეთ ხოლმე, რუსულ კანონებს რომ თავი დავანებოთ, იმ კანონებს, რომელნიც აშკარა ბოროტმოქმედებისათვის სჯიან ყველას თავადი იქნება იგი დამნაშავე, თუ გლეხი!

მეორედ ღალის გადახდევინება კი არა, ხშირად პირველადაც ვერ ვახდევინებ ხოლმე ჩემს კუთვნილს, რადგანაც, როგორც მოგეხსენებათ, არიან ბევრი ისეთი ბოროტი ენები, ბოროტი ქმნილებანი, რომელნიც ატყუებენ, აზავთებენ, ამხედრებენ ხოლმე გლეხებს მემამულის წინააღმდეგ, ატყუებენ მიწის მუშას, აგულიანებენ მას და ცდილობენ რაც შეიძლება გაამწვავონ მდგომარეობა მესაკუთრეთა და არამესაკუთრეთა შორის.

ასეთი ვაჟბატონები ჩვენსკენაც ბევრია და ალბად მათის მეოხებით მოინდომეს ჩემს მამულში მობინადრე გლეხებმა წინააღმდეგობის გაწევა და უარის თქმა იმ მცირედ ღალის გაღებაზედაც კი, რომელიც მე მოვსთხოვე გლეხებს აგრონომის, ბ-ნ მაჭავარიანის პირით...

გლეხები, ალბად სხვის ჩაგონებით, უარზე დადგენ, მაგრამ ბოლოს, როცა მათი საქონელი საიალაღოდ აღარ გაუშვით (დიაღ, აღარ გაუშვით, რადგანაც სხვა გზა არა გვქონდა ჩვენი უფლების დასაცავად) გლეხები მოგვირიგდენ და ჩვენ შორის წესიერი ურთიერთობაც დამყარდა...

მეორედ და მესამედ ღალის გადახდა კი ჩვენს რჯულში არა სწერია. ასეთი მტკიცება კორესპონდენტის ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყოს!...

2) თქვენმა მცველებმა დაუხოცეს გლეხებს ღორები და დაუჭრეს საქონელი თუ არაო? გვეკითხება ბ-ნი კორესპონდენტი

როგორც ხედავთ დიდის რიხითაა დაყენებული ეს საკითხი, გეგონებათ ყაჩაღები შესევიან სოფელსო, მაგრამ თუ მოგახსენებთ, რომ „ჩემს მცველებს“ მხოლოდ ერთად ერთი ღორი მოუკლავთ და მე მისი საღირალი უკვე გადაუხადე მის პატრონს, ხოლო ის „ბიჭი“ კი მაშინვე დავითხოვე სამსახურიდან. დამეთანხმებით, რომ აქ შესაკითხი აღარა იყოო! ..

3) თქვენმა მცველებმა, როდესაც საქონელს დაუშინეს ტყვია ამავე დროს ორი გლეხს, რომლებიც მართალია არ დაჭრილან, მაგრამ წააქცია ტყვიის შიშმა (?!) თუ არა-ო? ჩაგვციებია ჩვენი ულმობელი კორესპონდენტი.

მართალი მოგახსენოთ, ამ უცნაური ქართულით უცნაურის შეკითხვისა არა მესმის რა! აბა რა ვიცი წააქცია თუ არა ტყვიის შიშმა ორი გლეხი! მე მგონია, რომ ამისთანა ამბავი დედამიწის ზურგზე არ მომხდარა. და ჩემს მამულში ხომ საიდან მოხდებოდა ასეთი უცნაური ამბავი!

გადაჭრით ვამბობ: ეს ან ხუმრობაა ბ-ნ კორესპონდენტის მხრივ, ან მხოლოდ დასიზმრება.

4) გზობას თქვენმა მცველმოურავებმა გამოდენეს საქონელი გლეხების ადგილ სასვიროდან და ამ სხვისი ადგილიდან მორეკილ საქონელში გადაახდევინეს სვირელ გლეხებს სულზე თითო მანეთი თუ არაო?

გიპასუხებთ: არა! მე იმდენი საკუთარი მამული მაქვს, რომ ნეტა იმაში მაძლევდენ მესხედს იმ გადასახადისას, რაც მე მეკუთვნის. სხვის მამულიდან საქონლის მორეკას არ ვსაჭიროებთ... გადახდევინებით კი სვირელ გლეხებს 150 მანეთში გადავახდევინეთ მხოლოდ 50 მან.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩემ ადგილას ბ-ნი კორესპონდენტი თავის კუთვნილ 150 მანეთიდან გროშსაც არ დაიკლებდა, მე კი როგორცა ხედავთ, ძალიან ბევრს ვკარგავ, ოღონც კი რამენაირად დავაწყნარო ხოლმე უსამართლოდ ჩემ წინააღმდეგ ამხედრებული ხალხი!

5) იცით თუ არა თქვენი მოურავი ერთ ნაჭერ მიწას ხან ერთზე ყიდის და ხან მეორეზე და ორჯერ ღებულობს ადგილის ღალას ერთ და იმავე ნაჭერ მიწაში?

არ ვიცი! შეიძლება ჩემი ნდობით აღჭურვილი კაცი ბოროტ მოქმედებდეს, ისე როგორც შეიძლება იბოროტმოქმედოს რედაქციის ნდობით აღჭურვილმა კაცმაც. დამისახელეთ ეს მოურავი და მე თვითონ მოვსთხოვ პასუხს.

6) იცით თუ არა, რომ თქვენმა მოურავმა ფული, რომელიც აიღო ადგილის ღალათ, ეს პირი ჯარში გაიწვიეს და უპატრონოდ დარჩენილ ოჯახს ფული არ დაუბრუნა?

არ ვიცი რა ჰქნა ჩემმა მოურავმა, მხოლოდ ის კი ვიცი, რომ ჯარში გაწვეულ გლეხის ოჯახს ფული მე თვითონ გადავეცი და კვიტანციაც ჩამოვართვი. ჯერ ეს კვიტანცია უნდა გენახათ და მერე შემკითხებოდით, ბ-ნო კორესპონდენტო!

7) თქვენი მცველები ერეკებოდენ გლეხების ადგილიდან საქონელს თქვენსაში დასაჭერათ, თუ არა?

მაპატიეთ, მაგრამ დიდ შეუფერებლობას მეკითხებით. არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა-რა!

8) ეს მუხლი შეეხება ისევ იმ წყეულ „მოზვრის ჩემი ოჯახის მიერ შეჭმას“ და ამის გამო „სამ გზით“ პოლიციის საშუალებით გლეხების აწიოკებას.

ამის პასუხი პირველ წერილში მოგახსენეთ და დაგიმტკიცეთ—თუ გინდა დაიჯეროთ—რომ ეს მოჭორილი ამბავია.

პოლიციის საქციელის გამო კი მე პასუხს ვერ ვაგებ, ვინაიდან ჩემს დღეში არ მითხოვია მისთვის გლეხები ააწიოკეთ მეთქი.

9) ეს მუხლი შეეხება გლეხების მიერ ჩემთან ვითომ დეპუტაციის მოგზავნას კორესპონდენტისაგან ყველა ზემოდ ჩამოთვლილ ამბების გამო.

ამ გვარად, კორესპონდენტის აზრით ჩემზე უკეთური ადამიანი იმერეთში მეორე არა ყოფილა, მე კი მოგახსენებთ და მკითხველიც დარწმუნდება ჩემის პასუხიდან, რომ ბ-ნ „კორესპონდენტის“ „შეკითხვები“ ან ტყუილზეა დამყარებული და ან ყალბ ცნობებზეა აშენებული .. დალოცვილს ზოგი საქმე გაუბერნია და ზოგან ხმა ისე აუმაღლებია, თითქოს ჩვენ ტყეში ვცხოვრობდეთ და ხალხზე ვნადირობდეთ.

მე არ ვიტყვი, რომ ჩემ „მცველ—მოურავებს“ რაიმე შეცდომა არ მოსვლოდეთ ან რაიმე უსამართლობა არ ჩაედინოთ, ისე, როგორც ბევრ შეცდომებს სჩადიან ზოგიერთი ვითომდა „ხალხის გულშემატკივარნი“, მაგრამ საცა კი ხელი და თვალი მიმიწვდება ხოლმე, რაც კი შემიძლია მე ვიკლებ, მე ვითმენ, ოღონც კი სხვა არ დაიჩაგროს. ამას კვეხნაში ნუ ჩამომართმევთ, ვინაიდგან მე უფრო კარგად მესმის ჩვენი ყოფნა, ვიდრე იმ ზოგიერთა კორესპონდენტებს, რომელიც რწყილს დააწვენენ და აქლემს აშობინებენ ხოლმე...

ბაგრატიონი ისე არ დაეცემა, რომ გლეხს ტყავი გააძროს და უმეცრებისა და უსამართლობის ქვის სასწავლებელი შეიქნეს...

რასაკვირველია შეუმცდარი არავინ არის შეიძლება ვცდებოდე ხოლმე მეც, სცდებოდენ ჩემი „მცველ-მოურავებიც“, სცდებოდენ და ბრიყვდებოდენ გლეხებიც, სცდებოდენ თვით რედაქტორ კორესპონდენტებიც, მაგრამ ამ შემთხვევაში ერთმანეთის წასისინება კი არ უნდა, არამედ ქვეყნის და მშრომელი ხალხის ყველა გულშემატკივარი იმას უნდა სცდილობდეს, რომ შეათანხმოს, მოარიგოს, მოაწყოს, მოაგვაროს საურთიერთო საქმე და ისეთი ყოფნა დაამყაროს, რომ შენც გეცხოვრებოდეს და მეც.

ბ-ნ კორესპონდენტს კი უნდა—ილიას სიტყვისა არ იყოს: ...მე წამერთვას და სხვას მიერთვას და [illegible] დავრჩე გალანძღული.

დამეთანხმებით, ეს ვერაფერი სამართალია, ვერაფერი პატიოსნება და ხალხის გულშემატკივრობაა.

ამით ვათავებ ყოველგვარ კამათს პატივცემულ „ახ. კვალის“ რედაქციასთან და დღეის შემდეგ აღარავითარ პასუხს არ გავცემ, იმათ, ვინც ასე უსამართლოდ მეპყრობა.

ჩვენი მსაჯული დაე ისევ ის გლეხები იყვნენ, რომელთაც ჩემთან დამოკიდებულება აქვთ და რომელთაც ვსთხოვ—ყოველთვის მომმართონ ხოლმე, არა როგორც მარტო მებატონეს“, არამედ, როგორც ადამიანსაც, ქართველ კაცსა, ვინაიდგან მე მათ ყოველთვის ვაფასებდი და ვაფასებ კიდეც და შეძლებისადაგვარათ ვემსახურები.

დავით ბაგრატიონი.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 6 ს. 50 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. — „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 8 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 6 ს. 20 „ |
| შორაპნისაკენ | —დღით | — 5 ს. 20 „ |

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

# აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასევაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.
თ.

## საღი კუჭი

# ჟელაგარი ექ. ვეზისა.

ახალი მეცნიერულად შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ უაზბობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარ შველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული უაზბობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის ღებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემორროისა, იწვევს სისხლის მოწამლვას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. უაზზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ საფაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს უაზზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი ჟელაგარი ექ. ვეზისა აქარწყლებს კადაგვის მასსას, ასაღებს ნაწლევებს, აშორებს უღებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია უაზზობისაგან. ჟელაგარი სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჯიუტ ავათმყოფობისაგანაც კი პრეპარატ ჟელაგარს ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.

დაწვრილებით ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი ჟელაგარი ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში“ და ქუთაისში ა. პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

ჟელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი. 9 (წლიური)